ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 26 ---

3 თებერვალი
"---"-------- 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალურ საკუთრებაში რიცხული, 72.13.33.211 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 124077 მ² მიწის ნაკვეთის შპს „თბილსერვის ჯგუფისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიღების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა შპს „თბილსერვის ჯგუფმა" 16/01/2015 წლის №2/117 (რეგისტრ. №QN1279539) წერილით მომართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, 72.13.33.211 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 124077 მ² მიწის ნაკვეთის შპს „თბილსერვის ჯგუფისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, 10 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე" და „ე.თ"ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22/12/2014 წლის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე,

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, 72.13.33.211 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 124077 მ² მიწის ნაკვეთის შპს „თბილსერვის ჯგუფისთვის" (ს/ნ 206267494)

პირდაპირი განკარგვის წესით, 10 (ათი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი